პროლეტარიელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ხუთშაბათი, 2 მარტი, 1943 წ. № 50 (6675). ფასი 20 კაპ.

ზურგის მშრომელთა ახალი ინიციატივა

წითელი არმიის XXV წლისთავის დღისათვის გაცემულ ისტორიულ ბრძანებაში უმაღლესმა მთავარსარდალმა ამხანაგმა სტალინმა მაღალი შეფასება მისცა საბჭოთა ზურგის მიღწევებს. ბრძანებაში ნათქვამია: „სსრ კავშირის სამხედრო მრეწველობის მუშების, მუშა ქალების, ინჟინრებისა და ტექნიკოსების თავდადებული შრომის მეოხებით, ომის განმავლობაში გაიზარდა ტანკების, თვითმფრინავების, ქვემეხების წარმოება“.

ამხანაგ სტალინის ბრძანება გახდა ახალი მოწოდება ხალხისადმი: მობილიზაცია უყონ მთელ ძალებს, მთელ შესაძლებლობებს გერმანელ ფაშისტ ოკუპანტებზე სრული გამარჯვების მოპოვებისათვის. „წითელ არმიას მოელის მკაცრი ბრძოლა ვერაგი, სასტიკი და ჯერ კიდევ ძლიერი მტრის წინააღმდეგ. ეს ბრძოლა მოითხოვს დროს, მსხვერპლს, ჩვენი ძალების დაძაბვას და მთელი ჩვენი შესაძლებლობების მობილიზებას“. ამხანაგ სტალინის სიტყვები ჩაგონებენ ყოველ საბჭოთა ადამიანს ერთხელ და ერთხელ კიდევ შეეკითხოს თავის თავს: „ყველაფერი გავაკეთე თუ არა ფრონტისათვის?“, „ყველაფერი გავაკეთე თუ არა ჩვენი გამარჯვებისათვის?“

და ჩვენი დიდი ბელადისა და მხედართმთავრის ბრძანების პასუხად ყოველი მხრიდან გაისმის ქარხნებისა და ფაბრიკების ხმა:

— ჩვენ გავაძლიერებთ ჩვენს ლონისძიებებს, გავაათკეცებთ ენერგიას, კიდევ უფრო ძლიერად დავეხმარებით შემტევ წითელ არმიას!

25 თებერვალს „პრავდაში“ გამოქვეყნებული იყო სტალინის სახელობის № 92 საარტილერიო ქარხნის მუშაკთა წერილი ამხანაგ სტალინისადმი. ამ ქარხნის კოლექტივმა პირობა დასდო, რომ წითელი არმიის იუბილეათვის გეგმის გადამეტებით გამოუშვებდა საჭურველს, და თავისი დაპირება პირნათლად შეასრულა. ახლა ქარხნის მუშაკები კისრულობენ ახალ ვალდებულებას: ვადამდე შეასრულონ მარტისა და აპრილის პროგრამა და გეგმის გადამეტებით გამოუშვან სადივიზიონო ზარბაზნები 12 პოლკისათვის და იარაღი 4 სატანკო ბრიგადისათვის. მათ ჩვენი ქვეყნის ყველა საწარმოს მიმართეს წინადადებით უფრო ფართოდ გაეაჩაღონ სრულიად-საკავშირო სოციალისტური შეჯიბრება 1 მაისის დღისათვის.

27 თებერვალს „პრავდაში“ გამოქვეყნებული იყო სხვა საარტილერიო ქარხნის — მოლოტოვის სახელობის № 172 ქარხნის მუშაკთა წერილი ამხანაგ სტალინისადმი. ამ ქარხნის კოლექტივი წითელი არმიის XXV წლისთავის აღსანიშნავად გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორი იყო. ქარხანამ პირობა დასდო, რომ გეგმის გადამეტებით გამოუშვებდა საარტილერიო საჭურველს 10 პოლკისათვის. გამოუშვა 15 პოლკისათვის!

დღეს იბეჭდება კიდევ ერთი დიდი მნიშვნელობის დოკუმენტი — ქალაქ კუიბიშევის მშრომელთა წერილი ამხანაგ სტალინისადმი. კუიბიშეველები მოუთხრობენ ბელადს, თუ როგორ ეხმარებოდნენ ისინი დღემდე ფრონტს და რის გაკეთებას აპირებენ ისინი წითელი არმიის ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის. **ქალაქ კუიბიშევის საწარმოებმა 1942 წელს ხუთჯერ მეტი პროდუქცია გამოუშვეს, ვიდრე 1941 წელს.** ჰიტლერელთა მეთაურებთავს იმტვრევენ იმაზე, თუ საიდან აქვს წითელ არმიას ასეთი ძლიერება? ერთი წლის, ომიანობის მრისხანე წლის განმავლობაში მარტო კუიბიშევის საწარმოებმა ერთი ხუთად გაადიდეს პროდუქციის გამოშვება! ასეთ ტემპებს მიაღწიეს პოვოლჟიეს, ურალის, ციმბირის სხვა სამრეწველო ცენტრებმაც.

მაგრამ ბოლშევიკებს მიღწეული ვერ დააკმაყოფილებს. კუიბიშევის მშრომელნი სწერენ:

„სიტყვას გაძლევთ თქვენ, ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ, რომ კიდევ უფრო წარმატებით ვიმუშავებთ 1943 წელს. ჩვენში ვიპოვნით ახალ ძალებს, ავამოძრავებთ მთელს ჩვენს რეზერვებს და ვკისრულობთ ვალდებულებას გავადიდოთ პროდუქციის გამოშვება სულ ცოტა ერთნახევარჯერ 1942 წელთან შედარებით“.

ქალაქ კუიბიშევის მშრომელებმა გამოაცხადეს ქარხნებისა და ფაბრიკების შეჯიბრება 1943 წლის სახელმწიფო გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის და **წითელი არმიის მთავარი სარდლობის მძლავრი განსაკუთრებული ფონდის** შექმნისათვის.

წითელმა არმიამ მძლავრი დარტყმები აგემა მტერს, მაგრამ მტერი ჯერ კიდევ არ არის ძლეული. ფრონტზე გაგაფთრებული ბრძოლებია. გერმანელები გაშმაგებულ წინააღმდეგობას გვიწევენ. ისინი გადმოდიან კონტრიერიშებზე, თავს უყრიან მაშველ ძალებს, ცდილობენ ფეხი მოიკიდონ თავდაცვითს ზღუდეებზე. უნდა გვახსოვდეს ამხანაგ სტალინის სიტყვები: „სისულელე იქნებოდა გვეფიქრნა, რომ გერმანელები უბრძოლველად დასტოვებენ ჩვენი მიწა-წყლის თუნდაც ერთ კილომეტრს“.

ამიტომ ახლა არ შეიძლება დავკმაყოფილდეთ უკვე მიღწეული სამხედრო და სამეურნეო წარმატებებით. ომი ახლა შესვენების დროს არ გგაძლევს არც ფრონტზე **და** არც ზურგში.

ამხანაგ სტალინის ბრძანების პასუხად მშრომელები ახალ ვალდებულებებს კისრულობენ. მაგრამ ვინც ვალდებულებათა შესრულებაში თვითდინენებას ეძყარება, იგი უდიდეს შეცდომას სჩადის. ჩვენი ხალხი გამსჭვალულია ენტუზიაზმით, იგი მთლიანად შეპყრობილია იმ აზრით, რომ დახმარება აღმოუჩინოს ფრონტს. მაგრამ სახალხო ენტუზიაზმს მხოლოდ მაშინ შეუძლია მოგვცეს პრაქტიკული შედეგები, როცა ის. განმტკიცებულია ორგანიზაციული მუშაობით. შეჯიბრებაში ნაკისრი ახალი მაღალი ვალდებულებანი პარტიული და სამეურნეო ხელმძღვანელებისაგან მოითხოვენ **უდიდეს ორგანიზატორულ მუშაობას სიძნელეთა გადასალახავად,** რესურსების მობილიზაციისათვის, რეზერვების გამოვლინებისა და გამოყენებისათვის.

ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ დაწყებულ მარტის თვეში — პირველი კვარტალის უკანასკნელ თვეში— უკეთ ავამუშაოთ წლის პირველ კვირეებში ჩამორჩენილი საწარმოები და შევასრულოთ კვარტალური პროგრამა. ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ მარტში ყველა პირობა შევქმნათ შავი მეტალურგიის მუშაობის გაუმჯობესებისა და ლითონის გამოდნობის ისეთი ზრდისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას წარმოების ტემპების ზრდა მთელ სახალხო მეურნეობაში.

ომის განმავლობაში ჩვენმა პარტიულმა და სამეურნეო ორგანიზაციებმა ახალ პირობებში, ომიანობის პირობებში სამეურნეო მშენებლობის უდიდესი გამოცდილება შეიძინეს. ამ გამოცდილებამ ბევრ ჩვენს კადრებს გამოუმუშავა ურთულესი მდგომარეობიდან გამოსავალის პოვნის უნარი. მრეწველობის ევაკუაციის დროს, როცა არა გვყოფნიდა სამრეწველო შენობები საწარმოთა მოსათავსებლად, ჩვენ ვისწავლეთ მათი აშენება სარეკორდო მოკლე ვადებში. ახალ ადგილებზე კვალიფიციური მუშახელი არა გვყოფნიდა. ჩვენ ვისწავლეთ მუშათა კადრების მომზადება პირდაპირ რამდენიმე კვირის განმავლობაში. არა გვყოფნიდა ზოგიერთი დეფიციტური მასალა. ჩვენ ვისწავლეთ მათი შეცვლა სხვა მასალებით, ისე რომ პროდუქციის ხარისხს ზიანი არ მოსდის.

ახლა, როდესაც სამხედრო მრეწველობის ზრდის მაღალმა ტემპებმა განსაკუთრებით გაადიდა მოთხოვნილება ლითონზე, სათბობსა და ელექტროენერგიაზე, ჩვენმა კადრებმა წარმატებით უნდა გადასწყვიტონ ეს ამოცანაც.

ქალაქ კუიბიშევის მშრომელთა წერილი მეტყველებს, თუ რა უდიდესი შესაძლებლობანი მოეპოვება ჩვენს ზურგს, თუ როდენ დაუშრეტელია საბჭოთა ხალხის ენერგია. მაშ, გამოვიყენოთ მთელი ჩვენი შესაძლებლობანი, საქმეს მოვახმაროთ მთელი ჩვენი ენერგია მტერზე სრული გამარჯვების მოსაპოვებლად!

„პრავდის“ მოწინავე, 1/III.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

არტილერიის მარშლის, ავიაციის მარშლის, ჯავშანსატანკო ჯარების მარშლის განმასხვავებელი სამარშლო ნიშნის — „მარშლის ვარსკვლავის“ დაწესების შესახებ

1. შემოღებულ იქნას არტილერიის მარშლის, ავიაციის მარშლის, ჯავშანსატანკო ჯარების მარშლის განმასხვავებელი სამარშლო ნიშანი—„მარშლის ვარსკვლავი“.

2. დაწესდეს, რომ „მარშლის ვარსკვლავს“ გადასცემს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი იმ პირთ, რომელთაც მინიჭებული აქვთ არტილერიის მარშლის, ავიაციის მარშლის, ჯავშანსატანკო ჯარების მარშლის სამხედრო წოდება. „მარშლის ვარსკვლავთან“ ერთად გადაეცემათ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის განსაკუთრებული სიგელი.

3. დამტკიცდეს არტილერიის მარშლის, ავიაციის მარშლის, ჯავშანსატანკო ჯარების მარშლის განმასხვავებელი სამარშლო ნიშნის—„მარშლის ვარსკვლავის“ ნიმუში და მისი აღწერილობა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გოლიკინი

მოსკოვი, კრემლი. 1943 წ. 27 თებერვალი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისაგან

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საბჭოთა სახელმწიფოს ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი მშენებელი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე და უზბეკეთის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე იულდაშ ახუნბაბაევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსაგან

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საბჭოთა სახელმწიფოს ერთ-ერთი გამოჩენილი მოღვაწე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე და უზბეკეთის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე იულდაშ ახუნბაბაევი.

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო

უკანასკნელ საათს

მოწინააღმდეგის გამაგრებული პლაცდარმის ლიკვიდაცია დემიანსკის რაიონში

1941 წლის სექტემბერში გერმანელ ფაშისტთა ჯარებმა შესძლეს გამოჭრილიყვნენ ილმენის ტბის სამხრეთ-აღმოსავლეთით და გერმანიის მე-16 არმიის ძალებით დაეკავებინათ ზალუჩიე-ლიჩკოვო-დემიანსკის რაიონი და შემდეგ აღმოსავლეთით მდებარე რაიონი ველიესა და სელიგერის ტბების ნაპირებამდე. შემდგომი 17 თვის განმავლობაში მოწინააღმდეგე შეუპოვრად და დაჟინებით ცდილობდა შეენარჩუნებინა დაკავებული პლაცდარმი და გადააქცია იგი მძლავრ გამაგრებულ რაიონად, რომელსაც „დემიანსკის სიმაგრე“ უწოდა. გერმანელებს იმედი ჰქონდათ, რომ ამ გამაგრებულ რაიონს გამოიყენებდნენ ჩვენი ჯარების ჩრდილოეთის ჯგუფის უმნიშვნელოვანესი კომუნიკაციებისათვის დარტყმის გასაჩაღებლად. ამავე ხნის განმავლობაში აღნიშნული რაიონი არაერთხელ გახდა ასპარეზი გააფთრებული ბრძოლებისა, რომლებშიც ნადგურდებოდნენ გერმანელთა დივიზიები.

ამ დღეებში ჩრდილო-დასავლეთის ფრონტის ჯარები მარშალ ტიმოშენკოს სარდლობით შეტევაზე გადავიდნენ გერმანელთა მე-16 არმიის წინააღმდეგ. ბრძოლების მსვლელობაში ჩვენმა ჯარებმა მთელ რიგ უბნებზე გაარღვიეს მოწინააღმდეგის ძლიერ გამაგრებული ზოლი და ორმაგი გარშემორტყმის რეალური საფრთხე შეუქმნეს გერმანელ ფაშისტთა ჯარებს. მოწინააღმდეგემ გარშემორტყმის საფრთხე ირღვნა და ჩვენი ჯარების დარტყმებით აწყო სწრაფი უკანდახევა დასავლეთისაკენ.

რვა დღის ბრძოლების განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა, რომელნიც კვალდაკვალ სდევნიდნენ მოწინააღმდეგეს, გაათავისუფლეს 302 დასახლებული პუნქტი, მათ შორის ქალაქი დემიანსკი და რაიონული ცენტრები ლიჩკოვო და ზალუჩიე. მოწინააღმდეგისაგან გაწმენდილია 2.350 კვადრატული კილომეტრი ტერიტორია.

რვა დღის ბრძოლების განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ტყვედ წამოიყვანეს 3.000 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

ამავე ხნის განმავლობაში წამოლებულია შემდეგი დავლა: 78 თვითმფრინავი, 97 ტანკი, სხვადასხვა ყალიბის 289 ქვემეხი, 711 ტყვიამფრქვევი, აგრეთვე დიდძალი საომარი მასალა და ბევრი სხვა სამხედრო ქონება.

მოწინააღმდეგემ ბრძოლის ველზე დასტოვა 8.000-ზე მეტი გვამი.

საბჭოთა საინფორმაციო ბიურო

რესპუბლიკური ესპანეთის ყოფილი მთავრობის პრემიერ-მინისტრის, ბატონ ხუან ნეგრინის დეპეშა სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი

წითელი არმიის დაარსების XXV წლისთავის დღეს ესპანელი პატრიოტები, აღტაცებითა და ენტუზიაზმით აღსავსენი, თავიანთ იმედებს ამყარებენ წითელ არმიაზე, რადგან იციან, რომ ესპანეთის დამოუკიდებლობა ფაშისტთა უღლისაგან მის განთავისუფლებაზეა დამოკიდებული.

ესპანელ ხალხს თავის ტრაგიკულ, 1936 წლიდან შეუწყვეტელ ბრძოლაში, რომელმაც ახლა მხოლოდ ფორმა შეიცვალა, არასოდეს არ დაუკარგნია გამარჯვების რწმენა, რომელიც დღეს ჰორიზონტს აცისკროვნებს საბჭოთა ჯარისკაცის მოქმედებისა და გმირობის მეოხებით.

ომის ოცდაერთი თვე საკმაო ლეგენდარული ფაქტებით, რომლებმაც თავის უმაღლეს მწვერვალს მიაღწიეს თქვენი სახელის მატარებელი ქალაქის დაცვაში, რის მაგალითიც ისტორიას არ ახსოვს, ამ დაცვაში, რომელიც ფაშისტური არმიის განადგურების გამოსავალ წერტილად იქცა. ამ ფაქტებმა მკვეხარა ფაშისტები აიძულა ჩაჩუმებულიყვნენ და კიდევ უფრო გააძლიერა დიდება წითელი არმიისა, რომელმაც უჭკნობი სახელი მოიხვეჭა.

მერწმუნეთ, რომ თავისი არმიით სიამაყის გრძნობას, რომელსაც საბჭოთა ხალხი განიცდის, საკუთარ გრძნობასავით იზიარებს ნამდვილი ესპანეთი, რომელიც დღითი-დღე უფრო მეტად იმსჭვალება დიდი მეგობრული ერის ამ სახელოვანი შვილისადმი აღტაცებისა და სიმპატიის გრძნობით, ვინც თავისი მოქმედებით ხელს უწყობდა უდიდესი სამხედრო მანქანის—წითელი არმიის შექმნასა და ორგანიზაციას, იმ არმიისა, რომლის მეოხებითაც კაცობრიობას შეუძლია მშვიდობიანი მომავლისა და პროგრესის იმედი იქონიოს.

გიძღვნით გულითადს სალამს.

ხუან ნეგრინი

ლონდონი, 1943 წ. 24 თებერვალი.

ბ-ნ ხუან ნეგრინს

ლონდონი

გულწრფელად გმადლობთ თქვენ და თქვენი სახით ყველა ესპანელ პატრიოტს წითელი არმიის XXV წლისთავის გამო თქვენ მიერ გამოთქმული მეგობრული გრძნობებისათვის.

ი. სტალინი

მოსკოვი, კრემლი. 1943 წ. 27 თებერვალი.

მოსკოვი, კრემლი

იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს

საეპისკოპოსო, სამღვდელოება და მართლმადიდებელი მორწმუნენი სსრ კავშირის მართლმადიდებელი განახლებული ეკლესიისა, რომელსაც მე ვმეთაურობ, წითელი არმიის XXV წლისთავის დღეს გულთბილად მიულოცავენ წითელი არმიის ბელადსა და მეომრებს. ჩვენ ყველანი ჩვენი სამშობლოს თავდადებულ დამცველთა გასაოცარი საგმირო საქმეების მოწმენი ვართ. სტალინგრადი, როსტოვი, ხარკოვი ძვირფასი ასოებით არის აღბეჭდილი დიდი სამამულო ომის კალენდარზე. ჩვენ გვწამს, რომ მოახლოებულია ის დღე, როცა დამკვიდრდება წითელი არმიის საბოლოო გამარჯვების დროშა და დაილუპება მთელი თავისუფალი კაცობრიობის მიერ წყეული ფაშიზმი. ჩვენ ვიცით, რომ წითელი არმიის ტვინი, გული და ნებისყოფა ხართ თქვენ, იოსებ ბესარიონის-ძეო. თვით სახელი თქვენი არის დროშა უსამართლობაზე სიმართლის გამარჯვებისა. მაშ დაე მარადიულ მზედ ელვარებდეს თქვენი სიცოცხლე თქვენი პატივისმცემი და მოყვარული სამშობლოს ბედნიერებისა და თავისუფლებისათვის.

წმიდა ეკლესია ლოცვით უგალობს წითელ არმიას მრავალჟამიერს! მის დიდ ბელადს მრავალჟამიერ!

სსრ კავშირის მართლმადიდებელი განახლებული ეკლესიების პირველიერარქი ალექსანდრე ვვედენსკი

მოსკოვი, კრემლი

ამხანაგ სტალინს

ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ!

საქართველოს სს რესპუბლიკის თავდაცვა-ავიაქიმის წევრები აქტიურად ეხმარებიან ჩვენს გმირ წითელ არმიას ბოსიისწლე მტრის რაც შეიძლება სწრაფად განადგურების უზრუნველყოფისა და საზიზღარ გერმანელ ფაშისტ ოკუპანტთაგან ჩვენი სამშობლოს გაწმენდის საქმეში. საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმელებმა თავიანთი პირადი დანაზოგიდან შეაგროვეს და სახელმწიფო ბანკში შეიტანეს სატანკო კოლონა „საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმელის“ ასაგებად 2.639.720 მანეთი.

საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციამ წარმატებით შეასრულა მთავრობის 1942 წლის დავალებანი წითელი არმიისათვის რეზერვების მომზადებისა და საჰაერო თავდაცვისათვის მოსახლეობის მომზადების დარგში.

საქართველოს სს რესპუბლიკის თავდაცვა-ავიაქიმის ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე ოგოლაძე

თბილისი

საქართველოს სს რესპუბლიკის თავდაცვა-ავიაქიმის ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ოგოლაძეს

გთხოვთ გადასცეთ ჩემი ძმური სალამი და წითელი არმიის მადლობა საქართველოს სს რესპუბლიკის თავდაცვა-ავიაქიმის წევრებს, რომლებმაც 2.639.720 მანეთი შეაგროვეს სატანკო კოლონა „საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმელის“ ასაგებად.

ი. სტალინი

საკდესის ცნობა

პოლონეთის მთავრობის ა. წ. 25 თებერვლის დეკლარაციის გამო

ამ წლის 25 თებერვალს გამოქვეყნებული განცხადება ლონდონში მყოფი პოლონეთის მთავრობისა საბჭოთა კავშირ-პოლონეთის ურთიერთობის შესახებ იმას მოწმობს, რომ პოლონეთის მთავრობას არა სურს იცნოს უკრაინელი და ბელორუსი ხალხების ისტორიული უფლებები—გაერთიანებული იყვნენ თავიანთ ნაციონალურ სახელმწიფოებში. როგორც ეტყობა, კვლავ სთვლის რა კანონიერად დაპყრობითს პოლიტიკის იმპერიალისტური საბჭოთა ხელმწიფოებისას, რომელნიც ერთმანეთში იყოფდნენ უკრაინისა და ბელორუსიის ძველთაძველ მიწა-წყალს, და უგულებელჰყოფს რა თავიანთ ნაციონალურ სახელმწიფოთა წიაღში უკრაინელებისა და ბელორუსების უკვე მომხდარი გაერთიანების ფაქტს, რაც ყველასათვის ცნობილია,—პოლონეთის მთავრობა ამრიგად გამოდის უკრაინისა და ბელორუსიის მიწა-წყლის გაყოფის მომხრედ, უკრაინელი და ბელორუსი ხალხების დაუცმაცების პოლიტიკის განგრძობის მომხრედ.

საბჭოთა ხელმძღვანელი წრეები სავლიან, რომ უარყოფა უკრაინელი და ბელორუსი ხალხების უფლებისა — გაერთიანებულ იყვნენ თავიანთ თვისტომ ძმებთან, მოწმობს იმპერიალისტური ტენდენციების არსებობას, ხოლო პოლონეთის მთავრობის მიერ ატლანტის ქარტიის დამოწმებას არავითარი ნიადაგი არა აქვს. ატლანტის ქარტია არავის არ აძლევს უფლებას ხელჰყოს უკრაინელთა და ბელორუსთა ნაციონალური უფლებანი, არამედ, პირიქით. იგი გამომდინარეობს ხალხების, მათ შორის უკრაინელი და ბელორუსი ხალხების ნაციონალურ უფლებათა ცნობის პრინციპებიდან.

ბრიტანეთის ცნობილ მინისტრ ლორდ კერზონსაც კი, სსრ კავშირისადმი მისი მტრული დამოკიდებულების მიუხედავად, ესმოდა, რომ პოლონეთს არ შეუძლია პრეტენზია გააცხადოს უკრაინისა და ბელორუსიის მიწა-წყალზე, პოლონეთის მმართველ წრეებს კი დღემდე არა სურთ გამოიჩინონ გაგება ამ საკითხში.

პოლონეთის მმართველი წრეების მტკიცება, ვითომ პოლონეთი ახლანდელი ომის დაწყებამდე არ თანხმდებოდა რაიმე თანამშრომლობას გერმანიასთან საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, სინამდვილეს არ შეეფერება, რადგან მთელი მსოფლიოსათვის ცნობილია ჰიტლერულ გერმანიასთან დაახლოების პროფაშისტური პოლიტიკა პოლონეთის მთავრობისა და მის მინისტრ ბეკისა, რომლებიც ცდილობდნენ დაეპირისპირებინათ პოლონეთი საბჭოთა კავშირისათვის.

თუ რამეს გვასწავლის თანამედროვე ომი, უწინარეს ყოვლისა იმას, რომ სლავი ხალხები კი არ ეძება მტრობდნენ ერთმანეთთან, არამედ მეგობრულად უნდა ცხოვრობდნენ, რათა თავი დაიცვინონ გერმანელთა მხრივ დამონების საფრთხეს. პოლონეთის მმართველ წრეებს არაფერი არ უსწავლიათ, თუ ისინი ხელჰყოფენ უკრაინისა და ბელორუსიის მიწა-წყალს და ამით ნერგავენ მტრობას პოლონელ ხალხსა და უკრაინისა და ბელორუსის ხალხებს შორის, რადგან პოლონეთის მმართველი წრეების ასეთი პოლიტიკა ასუსტებს უწინარეს ყოვლისა თვით პოლონეთს და არღვევს სლავ ხალხთა ერთიან ფრონტს გერმანელთა შემოსეულთან ბრძოლაში.

პოლონეთის მთავრობის განცხადება იმას მოწმობს, რომ პოლონეთის ახლანდელი მმართველი წრეები ამ საკითხში არ გამოხატავენ ნამდვილ აზრს პოლონელი ხალხისას, რომლის ინტერესები თავისი სამშობლოს განთავისუფლებისა და მტკიცე და ძლიერი პოლონეთის აღორძინებისათვის ბრძოლაში გაერთიანებულად დაკავშირებულია იმ საქმესთან, რომ ყოველნაირად განმტკიცდეს ურთიერთნდობა და მეგობრობა მომავ უკრაინელ და ბელორუს ხალხებთან. აგრეთვე რუს ხალხთან და სსრ კავშირის სხვა ხალხებთან.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

1 მარტის საღამოს ცნობა

ამ დღეებში ჩრდილო-დასავლეთის ფრონტის ჯარები შეტევაზე გადავიდნენ მტრის ჯარების დემიანსკის ჯგუფის წინააღმდეგ. რვა დღის ბრძოლების განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა გაათავისუფლეს 302 დასახლებული პუნქტი, მათ შორის ქალაქი **დემიანსკი** და რაიონული ცენტრები **ლიჩკოვო** და **ზალუჩიე.**

ფრონტის სხვა უბნებზე ჩვენი ჯარები ეწეოდნენ შეტევითს ბრძოლებს წინანდელი მიმართულებებით.

* * *

28 თებერვალს ჩვენი ავიაციის ნაწილებმა ფრონტის სხვადასხვა უბანზე მოსპეს ან დაზიანეს გერმანელთა 100-მდე ავტომანქანა ჯარებიანად და ტვირთიანად, ჩაიშუშეს მოწინააღმდეგის 4 საარტილერიო ბატარეა და აფეთქეს საომარი მასალების საწყობი.

* * *

დონის როსტოვის დასავლეთით ნ შენაერთის ნაწილებმა გერმანელთა მრავალი გამაგრებული და დასაყრდენი პუნქტი დაიკავეს. მარტო ერთ უბანზე საბჭოთა ქვეგანაყოფებმა დაანგრიეს მტრის 26 ძელმეწყური საცეცხლე წერტილი და ბლინდაჟი და მოსპეს 8 ქვემეხი და ათობით სტეკვიამფრქვევი წერტილი. ჰიტლერელები ცდილობდნენ დაებრუნებინათ დაკარგული პოზიციები და რამდენიმე კონტრიერიში მოიტანეს, მაგრამ უკუგდებულ იქნენ. მოწინააღმდეგემ ბრძოლის ველზე 200-მდე მოკლული და 2 დაზიანებული ტანკი დატოვა.

* * *

ვორონეჟისა და სამხრეთ-დასავლეთის ჩვენი ნაწილები მოწინააღმდეგის კონტრიერიშებს იგერიებდნენ, ხოლო ძალთა ნაწილით დაზვერვას ეწეოდნენ ბრძოლით. საბჭოთა სატანკო და მოტორიზებულმა ქვეგანაყოფებმა მოსპეს გერმანელთა ერთ ბატალიონამდე ქვეითი ჯარი, დაზიანეს და დასწვეს 5 ტანკი, 13 ავტომანქანა საომარ მასალიანად და 4 ავტოცისტერნა ბენზინი. სხვა უბანზე ნ ნაწილის მებრძოლებმა ხელთ იგდეს 2 საწყობი საომარი მასალა, სურსათის საწყობი, 5 ქვემეხი, 8 ნაღმსატყორცნი, 11 ტყვიამფრქვევი და სხვა დავლა. წამოყვანილია ტყვეები.

* * *

ყუბანში ჩვენი ჯარები შეტევას განაგრძობენენ და რამდენიმე დასახლებული პუნქტი დაიკავეს. ნ ნაწილის მებრძოლებმა, რომლებიც მუხლამდე წყალსა და ტალახში მიიწევდნენ, მოწინააღმდეგის ძლიერ გამაგრებული პოზიციები დაიკავეს და ხელთ იგდეს 7 ქვემეხი, 18 ტყვიამფრქვევი, 5 ნაღმსატყორცანი, 2 საწყობი საომარი მასალა, 40 ცხენი და 19 ტრაქტორი. მტერმა ბრძოლის ველზე 300-მდე ჯოჯოხეთელი დასტოვა. სხვა უბანზე მოსპობილია გერმანელთა 3 ტანკი და 2 ჯავშანიანი მანქანა.

* * *

უკრაინის ერთ-ერთ რაიონში მოქმედი დიდი პარტიზანული რაზმი 20 თებერვალს ერთიანად დაეხმარა თავს რკინიგზის რამდენიმე სადგურს. პარტიზანებმა გერმანელი მცველები დაუტეხეს და სადგურის მოწყობილობა დააზიანეს. ერთ რკინიგზის სადგურზე განადგურებული დვრი და დამხმარე სახელოსნოები, მოსპობილია 9 ორთქლმავალი, საწვავის, სურსათისა და ხეტყის საწყობები. მწყობრიდან გამოყვანილია რკინიგზის დიდი კვანძის ელექტროსადგური. სხვა სადგურზე პარტიზანებმა მოსპეს გარაჟი, 5 ავტომანქანა, 2 ტელეფონის სადგური, მარცვლეულის საწყობი და სამხედრო ნაწილის პურსაცხობი. მოწინააღმდეგისთან ბრძოლაში საბჭოთა პატრიოტებმა 80 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი გაანადგურეს და ხელთ იგდეს 3 ტყვიამფრქვევი, 84 შაშხანა, 3 დამბაჩა, 1,200 ვაზნა, 40 კომპლექტი ტანსაცმელი და სხვა სამხედრო ქონება და საჭურველი, 88 ჰიტლერელი ტყვედ დანებდა პარტიზანებს.

* * *

ხარკოვის ოლქის დაბა როგანიდან უკანდახევის წინ გერმანელმა ფაშისტმა არამზადებმა 16 მშვიდობიანი მცხოვრები დახვრიტეს. გარდა ამისა, ფაშისტმა ჯალათებმა ჩამოახრჩეს 9 საბჭოთა ქალი: მართა ბრეიდინა—ორი წლის დედა, მარიამ გორგული—23 წლისა, ოლგა ბელოკოვა—24 წლისა და სხვანი.

* * *

ბელგიელმა პატრიოტებმა შარლეროუს რაიონში გერმანელთა სამხედრო ეშელონს მარცხი მოაწყეს. დამტვრეულია 20-ე მეტი ვაგონი. კატასტროფის დროს მოკლული და დაჭრილია 100-ზე მეტი ჰიტლერელი. ანტვერპენში შეიარაღებულ ბელგიელთა ჯგუფი შეიჭრა გერმანელთა ნაწილის შტაბში, მოსპეს 7 ჰიტლერელი, ხელთ იგდო საიდუმლო საბუთები და შენობა აიფეთქა.

უკანასკნელი ცნობები

პოლონეთის მთავრობის განცხადება პოლონეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის შესახებ

ლონდონი, 25 თებერვალი (საკდესი). როგორც რეიტერის საგანგებო გადმოგცემს, დღეს ნაცვალმა პოლონეთის მთავრობამ გამოაქვეყნა შემდეგი განცხადება რუსეთ-პოლონეთის ურთიერთობის შესახებ: „25 თებერვალს პოლონეთის მთავრობამ გენერალ სიკორსკის თავმჯდომარეობით გამართულ სხდომაზე განიხილა პოლონეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობა და მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება: „პოლონეთის მთავრობა კვლავ ადასტურებს, რომ პოლონელი ხალხი არც ანექსიელი ომის დაწყებამდე და არც ომის დროს არ დთანხმებულა გერმანელებთან რაიმე თანამშრომლობაზე საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. სსრ კავშირთან თავის ურთიერთობაში პოლონეთი მუდამ იჩენდა მზადყოფნას იმისათვის, რომ საბჭოთა კავშირთან ეთანამშრომლა ომის წარმოებაში და მეგობრული და კეთილმეზობლური ურთიერთობა შეენარჩუნებინა გამარჯვების მიღწევის შემდეგ. პოლონეთის მთავრობა გადაჭრით უარჰყოფს ბოროტ პროპაგანდას, რომელიც ბრალად სდებს პოლონეთს საბჭოთა რუსეთისადმი არაპირდაპირს ან პირდაპირს მტრულ ტენდენციებს. სრულიად უაზრო და ეჭვის მიტანა პოლონეთზე, ვითომც მას განზრახული აქვს პოლონეთის რესპუბლიკის აღმოსავლეთის საზღვრები ოდენ დნეპრზე, ან კიდევ ოდის მიწერა, ვითომც პოლონეთს აქვს თავისი საზღვრების აღმოსავლეთისაკენ შორს გადაწევის რაიმე ტენდენციები.

პოლონეთის მთავრობა, წარმომადგენელი ომამდელი საზღვრებით შემოფარგლული პოლონეთისა, რომლებშიც იგი გაერთიანებულ ერთიანად პირველი ჩაება მისთვის ძალად მოხვეულ ბრძოლაში, 1941 წლის 30 ივლისს პოლონეთ-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების დადების მომენტ

გ. ალექსანდროვი

სამამულო ომის გადამწყვეტი მომენტი

ომში ჯარების მიერ ჰიტლერული არმიის განიარაღებამდე სამი თვის შეტევის მსვლელობაში მიღწეული წარმატებანი ადასებთან შეფერებიან იმ იუბილეს, რომელიც აღნიშნეს 23 თებერვალს ჩვენმა სამშობლომ და მსოფლიოს ყველა თავისუფლებისმოყვარე ხალხებმა. წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის არსებობის, მეოთხედი საუკუნე არ შეიძლება ამაზე უფრო ზეიმით, უფრო ბრწყინვალედ აღინიშნოს, ვიდრე ეს მოიმოქმედეს ჩვენმა შეომრებმა, მოიპოვეს რა ჩაკიდრა ყველი გერმანელ ფაშისტთა არმიებზე გასამარჯვებლად.

გასაგებია, რომ წითელი არმიის ახლანდელი გამარჯვებანი წარმოუდგენელი იქნებოდა განვლილი 25 წლის გარეშე, რომელთა განმავლობაშიც ლენინი და სტალინი, ჩვენი პარტია, საბჭოთა ხალხი ჰქმნიდნენ, ზრდიდნენ ჩვენი სამშობლოს შეიარაღებულ ძალებს, თანამედროვე არმიის შესაქმნელად მრავალი წლის განმავლობაში წარმოებულმა დაუღალავმა შეუპოვარმა შესაძლებლობა მოგვცა ომის პირველ ეტაპზე სისხლისაგან დაგვეცალა და შეგვეჩერებინა გერმანელ ფაშისტთა ბანდები, არ შემოგვეშვა ისინი ჩვენი ქვეყნის ცენტრალურ სამრეწველო რაიონებში, ჩაგვეშალა მათი ცდები ჩვენ დედაქალაქის ხელში ჩაგდებისა, შესაძლებლობა მოგვცა ომის მსვლელობაში ძალები, ხოლო შემდეგ დაგვერტყა მტრისათვის, უდიდესი ზარალი მიგვეყენებინა მისთვის და დასავლეთისაკენ გაგვერეკა მისი ურდოები.

ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ სამამულო ომის ოცი ოვე სრულიად გარკვეული იყოფა უმნიშვნელოვანეს ეტაპებად.

1941 წლის ზაფხული და შემოდგომა პირველი ეტაპია, როცა გერმანელთა ჯარებმა, რომლებიც უეცრად დაესხნენ თავს საბჭოთა კავშირს, შესძლეს შეეგიწროებინათ წითელი არმია და ხელთ ეგდოთ ჩვენი ქვეყნის მნიშვნელოვანი რაიონები.

სამამულო ომის შემდეგი ეტაპი დადგა, როდესაც წითელმა არმიამ საფუძვლიანად მოჰქანცა მტერი, მოახდინა თავისი ძალების მობილიზაცია, დაიგროვა ოკუპანტების წინააღმდეგ ბრძოლის გარკვეული გამოცდილება, მოამზადა და გაშალა რეზერვები, თვითონ გადავდა შეტევაზე და მთელი რიგი ძლიერი დარტყმები აგვემა გერმანელებს, 1941-1942 წ. ზამთარში გაანადგურა გერმანელთა რჩეული ჯარები მოსკოვის მისადგომებთან და ფრონტის მთელ რიგ სხვა უბნებზე.

1942 წ. ზაფხულში გერმანელებმა, ისარგებლეს რა იმით, რომ ევროპაში მეორე ფრონტი არ არსებობდა, ყველა ვასალური და ოკუპირებული ქვეყნიდან თავი მოუყარეს თავის რეზერვებს, ომის სამსახურში ჩააყენეს ევროპის ქვეყნების უმრავლესობის მრეწველობა, გერმანიაში მობილიზაცია უყვეს 17-დან 55 წლამდე ასაკის კონტინგენტებს და ამრიგად შესძლეს კვლავ გამოეყენებინათ ჩვენს წინააღმდეგ მნიშვნელოვანი ძალები, შეეგიწროებინათ ჩვენი ჯარები სამხრეთ-დასავლეთით და სამხრეთით და ხელთ ეგდოთ მთელი რიგი მნიშვნელოვანი რაიონები. მაგრამ ამ ძმიმე ბრძოლებშიც, რაც 1942 წ. ზაფხულში და შემოდგომაზე სწარმოებდა, წითელმა არმიამ ჩაშალა გერმანელთა გეგმები, — გზა გადაუღობა ფაშისტ მხეცს. „ჩვენი ხალხი სამარადისოდ შეინახავს, ხსოვნას სევასტოპოლისა და ოდესის, გმირული დაცვის შესახებ, მოსკოვთან და კავკასის მთის ძირებში, რუკვის, როიოშნი და ლენინგრადთან შეუპოვარი ბრძოლების შესახებ, ომების ისტორიაში უდიდესი ბრძოლის შესახებ სტალინგრადის კედლებთან“. (სტალინი).

1942-1943 წ. ზამთარში დადგა ახალი, გადამწყვეტი მომენტი სამამულო ომის განვითარებაში, როცა დაიწყო მტრის მასობრივი განდევნა საბჭოთა მიწა-წყლიდან.

ომის მსვლელობაში, წითელი არმიის შეტევითმა მოქმედებამ პირველად მიიღო ეფექტურად ორგანიზებული გაქანება. მოწინააღმდეგის ჯარებს ძმიმე ზარალი მივაყენეთ. წითელმა არმიამ თავისი შეტევით გააცამტვერა მტრის ყველა სამეიდრო, პოლიტიკური და ეკონომიური ვარაუდი. მან გერმანელი ფაშისტი დამპყრობლებისაგან გაათავისუფლა ჩვენი ქვეყნის მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი ეკონომიური და სამხედრო-სტრატეგიული რაიონები, ხელიდან გამოაცალა მტრის არმიებს საომარი მოქმედების განსაგრძობად მეტად ხელსაყრელი პოზიციები. გერმანელებს მიზანში ჰქონდათ ამოეგებული ეროზნისა და ბაკოს ნავთი; წითელმა არმიამ დაამარცხა გერმანელთა არმიები ჩრდილოეთ კავკასიაში და მტრისაგან გაწმიენდა ეს რაიონები. გერმანელებს ნამიზნი ჰქონდათ ამოეგებული ყუბანის, დონის, კურსკისა და ვორონეჟის ოლქების პური; ჩვენმა ჯარებმა გაანადგურეს ოკუპანტების არმიები ამ რაიონებში და ტაკუადგეს ისინი ზორს — დასავლეთისაკენ. გერმანელები ვარაუდობდნენ ალეგრინათ და ომუშავებინათ დონბასის ქარხნები და შახტები; გმირმა წითელმა არმიამ უკვე გაათავისუფლა დონბასის ნაწილი და კვლავ ურტყამს ამ მტერს. გერმანელებს იმედი ჰქონდათ, რომ ისეთი ქალაქები, როგორიც არის სტალინგრადი, კრასნოდარი, ნალჩიკი, მოზდოკი, როსტოვი, ვოროშილოვგრადი, ხარკოვი, ვორონეჟი, კურსკი, მომავალ საომარ მოქმედებაში ძირითადი გამოსავალი სამხედრო-სტრატეგიული ბაზების როლს შეასრულებდნენ მათი შემდგომ შეტევისათვის; წითელმა არმიამ განდევნა მტერი ამ რაიონებიდან. გაათავისუფლა ეს ქალაქები ოკუპანტებისაგან და გადაიქცა ისინი თავის დასაყრდენ გამოსავალ პუნქტებად შემდგომ წარმატებითი ბრძოლებისათვის, მთელი მსოფლიო უდიდესი ყურადღებითა და იმედით ადევნებს ახლა თვალყურს, საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტის ამბების მსვლელობას.

რა მოხდა სამამულო ომის ამ ოცი თვის განმავლობაში? როგორ შეიცვალა მეომარი საბჭოეთის ძალთა თანაფარდობა?

თითოეული მეომარი მხარის მდგომარეობაში ძმიმდარ ცვლილებათა არსი უეჭველია ყოველისა იმაში მდგომარეობს, რომ გერმანელთა სარდლობის არც ერთი სტრატეგიული გეგმა არ განხორციელებულა, და ჰიტლეროული გერმანია სსრ კავშირთან ომის ოცი თვის შემდეგ უფრო სუსტი გადდა, ვიდრე ომის დასაწყისში იყო, თუმცა დიდი ტერიტორია ჩაგდო ხელში. რაც შეეხება წითელ არმიას, მან შესძლო არა მარტო შეეჩერებინა მოწინააღმდეგე, არამედ ძმიმე, სისხლისმღვრელ ომში ყველაზე ძლიერ მოწინააღმდეგესთან ყველა იმ მოწინააღმდეგეთა შორის, რომლებთანაც კი როდისმე ჰქონია ომი ჩვენს ხალხს, ბევრად უფრო ძლიერი, უფრო გამოცდილი გახდა, ძმიმე დამარცხებანი აგემა მტერს.

საკმარისია რუკაზე დახედოთ წითელი არმიის სამი თვის შეტევის კზას, რომ დარწმუნდეთ, თუ რა გადამწყვეტი ცვლილებანი მოხდა ამ ხნის განმავლობაში ფრონტზე, თუ რა სერიოზული გარდატეხას მიაღწიეს საომარი მოქმედების მსვლელობაში ჩვენმა ჯარებმა, რომლებიც წარმატებით ახორციელებენ საბჭოთა უმაღლესი მთავარსარდლობის გეგმებს.

წითელმა არმიამ გაანადგურა გერმანელები სტალინგრადთან, ჩრდილოეთ კავკასიაში, ყუბანში, ვორონეჟისა და დონის შუაწელის რაიონში, წარმატებით ათავისუფლებს მტრისაგან უკრაინას. ურტყამს მას ფრონტის სხვა უბნებზე. ცდილობენ რა შეაჩერონ წითელი არმიის შეტევა, გერმანელები იძულებული არიან მოხსნან ჯარები ოკუპირებული ქვეყნებიდან. მარტო ამ უკანასკნელ ხანს მათ თავი მოუყარეს არა მარტო გერმანიიდან, არამედ აგრეთვე საფრანგეთიდან, ჰოლანდიიდან, ბელგიიდან და ბალკანეთიდან ოცდაათზე მეტ ახალ დივიზიას, სასწრაფოდ გადმოიყვანეს ისინი საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე. როგორც კი გერმანელთა ეს ახალი ნაწილები ფრონტის ხაზზე მიდიან, წითელი არმია ურტყამს მათ და თავის ძლევამოსილ შეტევას განაგრძობს.

სამხედრო ხელოვნების ისტორიას ჯერ კიდევ არ ახსოვს ამგვარი მასშტაბებისა და ამგვარი შედეგების მქონე შეტევითი მოქმედება. ამხანაგმა სტალინმა 23 თებერვლის ბრძანებაში აღნიშნა, რომ წითელმა არმიამ გაშალა რა უკანასკნელი სამი თვის განმავლობაში შეტევა 1.500 კილომეტრ ფრონტზე, დიდ წარმატებებს მიაღწია. მან დაამარცხა მოწინააღმდეგის 112 დივიზია, ბრძოლებში გაეკეტა მტრის 700 ათასზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი, ხელთ იგდო 300 ათასზე მეტი ტყვე. სულ კი ომის დასაწყისიდან მწყობრიდან ამოყვანილია 9 მილიონამდე გერმანელი ფაშისტი ჯარისკაცი და ოფიცერი, აქედან მოკლულია სულ ცოტა 4 მილიონი.

ამრიგად, მოკლე ხნის განმავლობაში ჰიტლერს მწყობრიდან გამოაკლდა რჩეული ჯარების უდიდესი რაოდენობა. ძნელია გადაჭარბებულად იქნას შეფასებული ამ ფაქტის მნიშვნელობა. ჯერ კიდევ არასოდეს, არც თანამედროვე მსოფლიო ომში, არც ევროპის XIX და XX საუკუნეთა ომებში ესოდენ მოკლე ხნის მანძილზე მწყობრს არ გამოჰკლეია ჯარების ასეთი უზარმაზარი მასა.

ამხანაგმა სტალინმა აღნიშნა, რომ ჩვენმა ნელთა სარდლობა შეეცდება ყველა ზომა მიიღოს, რათა დაჰფაროს ჯარების ეს კოლოსალური დანაკლისი „მაგრამ, ჯერ-ერთი, გერმანელთა არმიების სუსტ ადგილს წარმოადგენს ადამიანთა რეზერვების ნაკლებობა, რის გამოც გამოურკვეველია რა წყაროებიდან იქნება დაფარული ეს დანაკლისი. მეორეც, კიდევ რომ დავუშვათ, რომ გერმანელები ყოვლისაარი ღონისძიებებით მოხვეტენ ადამიანთა საჭირო რაოდენობას, ცოტა დრო როდი იქნება საჭირო იმისათვის, რომ შეაგროვონ და გაწვრთვნან ისინი. დრო კი არ იცდის“. (სტალინი).

შეტევისას წითელმა არმიამ მოსპო ან ხელთ იგდო მტრის უამრავი საჭურველი. ამ ხნის განმავლობაში გერმანელებმა დაკარგეს 7 ათასზე მეტი ტანკი, 4 ათასი თვითმფრინავი, 17 ათასი ქვემეხი და დიდძალი სხვა საჭურველი. ამ უდიდესი დანაკლისის, შესაძლებელ გერმანელებს ცოტა დრო როდი დასჭირდებათ, განსაკუთრებით გერმანიის მატერიალური და ადამიანთა რეზერვების სწრაფი გამოფიტვისას, დრო კი არ იცდის.

ჩვენმა ჯარებმა, რომლებიც გააფთრებული ბრძოლებით მიიწევენ წინ, სტალინგრადიდან დასავლეთისაკენ 600-მდე კილომეტრი განვლეს და მტრის ოკუპაციისაგან გაათავისუფლეს ვეებერთელა საბჭოთა ტერიტორია, კიდევ უფრო დიდია ის გზა, რაც წითელმა არმიამ განვლო კავკავიდან ყუბანით და ჩვენი ქვეყნის სამხრეთი რაიონებით მატვეევ კურგანამდე, რომელიც ტაგანროგის ყოფთან ჩრდილოეთით მდებარეობს. ამრიგად, წითელმა არმიამ სამი თვის წარმატებითი შეტევის განმავლობაში ბრძოლით დაიბრუნა სამხრეთში ის, რაც გერმანელებმა მილიონნობით თავის ჯარისკაცთა და ოფიცერთა სიცოცხლის ფასად, — ხელში ჩაიგდეს ომის ერთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში! მრავალმილიონიანი არმიის წინააღმდეგ შეტევის ასეთი ტემპები ომების ისტორიას არ ახსოვს.

ჩვენი ჯარების წარმატებანი მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ ეს წარმატებანი მიღწეულია მაშინ, როცა ევროპაში მეორე ფრონტი არ არსებობს და როცა წითელი არმია მარტოდმარტო იტანს ომის მთელ სიმძიმეს.

წითელი არმიის შეტევამ გამოიწვია ჩვენი მტრების ბანაკში უდიდესი გაკოფება შიში და დაბნეულობა, ხოლო ჩვენი მეგობრების ბანაკში — აღტაცება და სიხარული, გამარჯვების რწმენის ახალი ბიძგი მოხოვავება. შვედური „არბეტარენმა“ ამ დღეებში გამოაქვეყნა მოწინავე სტატია, რომელშიც ნათქვამია: „რუსების შეტევა საშინელ მასშტაბსიღებს. ჰიტლერი დაპირობას იძლეოდა რომ ბოლშევიზმს ურალს იქით გადაგდებდა, მაგრამ რუსებმა ჯავშნიანი მუშტი პირდაპირ გერმანულ დრეკის დაუღირეს, და საქმე სულ სხვანაირად შეტრიალდა... ცხადია, რომ გერმანია ვერ გაიმარჯვებს“.

ამერიკის შეერთებული შტატების ერთი დიდი ისტორიული ჟურნალი, რომელიც შეფასებას აძლევდა საბჭოთა ჯარების გამარჯვებებს, სწერდა, რომ წითელმა არმიამ შეაქმნა ახალი სამხედრო მეცნიერება, ახალი სტრატეგია და ტაქტიკა მოწინააღმდეგის ვერაგული მეთოდების წინააღმდეგ ბრძოლაში, რომ ეს მეცნიერება უზრუნველჰყოფს საბჭოთა კავშირის გამარჯვებას და რომ მომავალი თაობანი გულმოდგინედ შეისწავლიან თავისი მტრის წინააღმდეგ სსრ კავშირის ბრძოლის გამოცდილებას, „როცა საბოლოოდ დაიწერება ახლანდელი უდიდესი მსოფლიო კრიზისის ისტორია, — სწერდა შემდეგ ეს ჟურნალი,— სტალინი ისეთი ადამიანის სახი, წარმოსდგება, რომელმაც ცივილიზებული მსოფლიო იხსნა ერთ-ერთი ყველაზე უფრო საეცხოო სტრატეგიული ხერხის საშუალებით, როგორიც ოდესმე გამოუყენებია სახალხო ბელადს საერთაშორისო კონფლიქტში“.

• • •

წითელი არმიის წარმატებებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ომის პერსპექტივებისათვის. ამხანაგმა სტალინმა განსაკუთრებით გაუსვა ამას ხაზი ბრძანებაში წითელი არმიის XXV წლისთავისადამი: „ამ დიდ ბრძოლებში ჩვენმა მამაცმა მებრძოლებმა, მეთაურებმა და პოლიტმუშაკებმა უჭკნობი სახელი მოუხვეჭეს წითელი არმიის საბრძოლო დროშებს და მკვიდრი საფუძველი ჩაუყარეს გერმანელ ფაშისტთა არმიებზე გამარჯვებას“.

წითელი არმიის ხანგრძლივმა, გმირულმა ბრძოლამ მტრის წინააღმდეგ თავისი შედეგები მოიტანა. საბჭოთა კავშირმა გაშალა უდიდესი შინაგანი ძალები და შეაქმნა საჭირო წინამძღვარები გამარჯვებისათვის. ომში მსვლელობაში მნიშვნელოვანი გარდატეხა მოხდა. დადგა ომის უაღრესად პასუხსაგები, გადამწყვეტი მომენტი. ჩვენი ხალხისა და თავისუფლებისმოყვარე ყველა იმ ხალხთა ამოცანა, რომლებიც საბჭოთა კავშირთან ერთად გაერთიანებულნი ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ ბრძოლისათვის, ომში მდგომარეობს, რომ მთლიანად გამოიყენონ აქამდე შექმნილი ხელსაყრელი საომარი ვითარება, საბოლოოდ გაანადგურონ ჰიტლერული სამხედრო მანქანის ძლიერება, მოსპონ ჰიტლერული არმია, ჰიტლერული სახელმწიფო, ჰიტლერული „ახალი წესრიგი“ ევროპაში.

ბოლოსა და დამთავრებულია ჰიტლერელთა დოდება წითელი არმიის შეტევის წარმატებებთან დაკავშირებით. როცა გერმანელებმა პოლონეთი, ბელგია და ჰოლანდია დაიპყრეს, ისინი ზეიმით აცხადებდნენ, რომ გერმანიის დიდგომარეობა ვითომდა „ურყევი“, უფრო მკვიდრი გახდა, ვიდრე ამ სახელმწიფოთა დაპყრობამდე იყო. მერე, როცა მათ საფრანგეთი და ბალკანეთი დაიპყრეს, ისინი კვლავ გაჰყვნოდნენ, გერმანიის მდგომარეობა კიდევ უფრო გაუმჯობესდაო. შემდეგ, როცა საბჭოთა მიწა-წყალს შემოესივნენ, 1941 წლის ზაფხულში მათ ათობით განცხადება ამოოაქვეყნეს იმის შესახებ, რომ ამიერიდან გერმანია უძლეველიაო.

ასე იყო ომის სამი წლის განმავლობაში... მაგრამ აი გერმანია ომის მეოთხე წელში გადადგა. და მერე რაღა მოხდა? ჰიტლერული ბანდის ერთ-ერთი ჭეშმარიტი—გებელსი იძულებულია საჯაროდ გამოსვლისას აღიაროს, რომ ახლა გერმანია უფრო მძიმე მდგომარეობაში იმყოფება, ვიდრე სამი წლის წინათ იყო, როდესაც იგი ევროპის ომს იწყებდა. გერმანელები ჩვენი სამშობლოს ტერიტორიაზე რომ შემოიჭრნენ, სადაც მათ კბილები ჩაამტვრიეს „ძლევამოსილი“ ომის მეოთხე წელს, უეცრად გულშემზარავად დაიწყეს ყვირილი, რომ ახლა მთის მდგომარეობა თითქმის კატასტროფულია! ეს განცხადებანი ისევე, როგორც ყბადაღებული „ტოტალური მობილიზაცია“, რასაც ახლა გერმანელები ახორციელებენ იმისათვის, რომ ნამეც�აცეც შეაგროვონ თავიანთი რეზერვების ნაშთები, ათ წლამდე ასაკის ბიჭებიც კი აიყვანონ აღრიცხვაზე სამხედრო სამუშაოზე გამოსაყენებლად, მრავალსიტყვეულია.

ბუნებრივია, რომ გერმანელ ჯარისკაცთა და გერმანიის მოსახლეობის სულიერი განწყობილება და მორალური სულისკვეთება შეიცვალა. წითელი არმიის დარტყმების გამო იმსხვრევა ჰიტლერელთა ილუზიები, რომ ადვილად შესძლებდნენ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე წინწაწევას. სწრაფად ეცლება ნიადაგი მათს რწმენას გამარჯვებისადმი. სერიოზულად გაუარესდა გერმანიის საერთაშორისო მდგომარეობაც. მან უკვე ამოსწურა თავისი საგარეო-პოლიტიკური რეზერვები და უკანასკნელ წელს ვეღარ ჩაება თავის მხარეს ომში ვერც ერთი სახელმწიფო. უარესდება გერმანიის ურთიერთობა მის „ნაცად“ ვასალებთანაც. საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე მთლიანად განადგურებულია რუმინეთის, იტალიისა და უნგრეთის არმიები, რომლებიც ჰიტლერმა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გამოიყვანა.

ასეთი სერიოზული დამარცხებანი რომ განიცადეს ფრონტზე, ჰიტლერელები ჯაშმგებელ დემაგოგიას იწყვიან. ცდილობენ უნდობლობა ჩამოაგდონ, ერთი მხრივ საბჭოთა კავშირის ხალხებსა. და მეორე მხრივ ინგლისსა და ამერიკას შორის. ცდილობენ ევროპის ბოლშევიზაციის საფრთხით დააშინონ თავისუფლებისმოყვარე ხალხები. მაგრამ ჰიტლერელთა ეს გაფფრთხილენი კამპანიაც მათ სასარგებლოდ არ მიტყვლებს. მათი ყალთაბანდური დემაგოგია მხოლოდ იმ ურწმენობას მოწმობს. რომელიც ფაშისტური გერმანიის ზეკოთინებში სოფიის. რაც შეიხება გერმანელთა მისწრაფებას—ურთიერთუნდობლობა წარმოშვან თავისუფლებისმოყვარე ხალხთა შორის,—ამას საუცხოო პასუხი გასცა ამხანაგმა სტალინმა, რომელმაც განაცხადა, რომ „წითელი არმია არის ყველა ქვეყნის ხალხთა შორის მშვიდობიანობისა და მეგობრობის დაცვის არმია. იგი შექმნილია არა უცხო ქვეყნების დასაპყრობად. არამედ საბჭოთა ქვეყნის საზღვრების დასაცავად. წითელ არმია ყოველთვის პატიოსანია ეპყრობოდა ყველა ხალხთა უფლებებსა და დამოუკიდებლობას“.

გერმანელთა დემაგოგიურ და უბადრუკ ცდიან საკადრისად უპასუხებენ ანტიჰიტლერული კოალიციის ქვეყნების სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწენი, ყველა თავისუფლებისმოყვარე ხალხთა ავტორიტეტული წარმომადგენელნი.

• • •

წითელი არმიის სამი თვის შეტევის მანძილზე წარმოებული სამხრძოლო მოქმედების ფაქტიური შედეგები ნათელია. წითელმა არმიამ მოიპოვა უდიდესი გამარჯვებანი ფაშისტთა ურდოებზე, რომელნიც დაუსჯელად სძარცვავენ და აოხრებენ თითქმის მთელ ევროპას.

ბოლშევიკები ყოვილთვის გამოირჩეოდნენ იმით, რომ უნარი ჰქონდათ დაენახათ მოვლენები მათი ნამდვილი სახით. ამხანაგი სტალინი მუდამ ასწავლის ჩვენს პარტიას, ჩვენს ხალხს გაითვალისწინონ ომის რეალური მსვლელობა და პერსპექტივები. არ შეიქმნან ყალბი ილუზიები. ჩვენ ფხიზლად უნდა ვუყურებდეთ საომარ მოქმედებას, რომელიც ახლა ჩაღდება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ შეუწყარებელია თავი მოვიტყუოთ იმ აზრით, ვითომც მტრის არმიას უკვე ბოლო მოვუღეთ. მოდამ უნდა გვახსოვდეს ამხანაგ სტალინის სიტყვები იმის შესახებ. რომ გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლა ჯერ მხოლოდ ფართოვდება და ჩაღდება. ჯერ კიდევ განსათავისუფლებელი გვაქვს მტრის მიერ დროებით დაპყრობილი საბჭოთა მიწა-წყლის დიდი ნაწილი. ჩვენ საქმე გვაქვს მტაცებელ, მძლავრ, სასტიკ მოწინააღმდეგისთან, რომელიც არაფერს არ დაერიდება იმისათვის, რომ შეინარჩუნოს ის. რაც ხელში ჩაიგდო. ჩვენ ჯერ კიდევ ძმიმე, დაძაბული, სისტლისმღვრელი ბრძოლები მოგველის.

ამხანაგი სტალინი თავის ბრძანებაში ალნიშნავს, რომ მტერმა დამარცხება განიცადა „გერმანიის არმია კრიზისს განიცდის, მაგრამ იგი ჯერ კიდევ არ არის ძლეული. „წითელ არმიას მოელის მკაცრი ბრძოლა ვერაგი, სასტიკი და ჯერ კიდევ ძლიერი მტრის წინააღმდეგ. ეს ბრძოლა მოითხოვს დროს, მხვერპლს, ჩვენი ძალების დაძაბვას და მთელი ჩვენი შესაძლებლობების მობილიზებას. ჩვენ დავიწყეთ საბჭოთა უკრაინის განთავისუფლება გერმანელთა ჩაგვრისაგან, მაგრამ მილიონობით უკრაინელი ჯერ კიდევ იტანჯება ჩერმანელ დამპონებელთა უღელქვეშ. ბელორუსიაში, ლიტვაში, ლატვიაში, ესტონეთში, მოლდავეთში, ყირიმში, კარელიაში ჯერ კიდევ თარეშობენ გერმანელი ოკუპანტები და მათი მსახურნი. მტრის არმიებს მძაგავრი დარტყმები ვაგემეთ, მაგრამ მტერი ჯერ კიდევ არ არის დამარცხებული. გერმანელი დამპყრობნი გააფთრებულ წინააღმდეგობას გვიწევენ, კონტრიერიშებზე გადმოდიან, ცდილობენ ფეხი მოიკიდონ თავდაცვის ზღუდეებზე და შეუძლიათ ახალი ავანტიურები ჩაიდინონ. აი რატომ არ უნდა ჰქონდეს ადგილი ჩვენს რიგებში უზრუნველობას, უდარდელობას, ყოყოჩობას“.

თავისი არმიის, თავისი სახელმწიფოს რეალური ძალების და მტრის ძალების ფხიზლად გათვალისწინება, იმის შეგნება, რომ კრიზისი, რომელსაც ახლა გერმანელ ფაშისტთა არმია განიცდის, ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ მტერი დამარცხებულია და ძალლონეს ვეღარ მოიკრებს, აძლევს ჩვენს ხალხს კიდევ უფრო მეტ დარაზმულობას, კიდევ უფრო ჰხატებს მას მზადყოფნას—დაუღალავად იშრომოს, თავდადებით იბრძოლოს სრულ გამარჯვებამდე, კიდევ უფრო ძლიერებს მის შომთხოვნელობას თავის თავისადმი.

საბჭოთა კავშირს მოეპოვება საკმაო ძალები და რეზერვები, აგრეთვე ხელსაყრელი სამხედრო-პოლიტიკური პირობები. შემდგომი ბრძოლისათვის. ეს საფუძველს გვაძლევს რწმენით ვუყურეთ მომავალს. ჩვენ ყველაფერი მოგვეპოვება გამარჯვებისათვის. სწორად რომ გამოვიყენოთ ჩვენი შესაძლებლობანი და სრულ გამარჯვებას მივაღწიოთ. ამისათვის მხოლოდ ერთი რამ არის საჭირო: ჩვენი სახელმწიფოს ყოველი მოქალაქე, — რა პოსტზეც, რა სამუშაოზეც უნდა დაიყენონ იგი თავისმა ხალხმა ფრონტზე თუ ზურგში, — თავდადებით უნდა მუშაობდეს სამშობლოს საკეთილდღეოდ, მთლიანად უნდა ახმარდეს თავის ძალ-ღონეს სამშობლოს დაცვის ჩვენი სამართლიანი საქმის გამარჯვებას.

ჯარებისადმი მიმართულ ბრძანებაში ამხანაგი სტალინი ამბობს: „მთელ საბჭოთა ხალხს ახარებს წითელი არმიის გამარჯვებანი. მაგრამ წითელი არმიის მებრძოლებს, მეთაურებსა და პოლიტმუშაკებს მტკიცედ უნდა ახსოვდეთ ჩვენი მასწავლებლის ლენინის ანდერძი: „პირველი საქმეა არ გაგვიტაცოს გამარჯვებამ და არ ვიყოყოჩოთ, მეორე საქმეა განვიმტკიცოთ გამარჯვება, მესამე — საბოლოოდ მოვსპოთ მოწინააღმდეგე“.

ასეთია მთავარი ამოცანა, რომელიც ამჟამად დასახულია ჩვენი ხალხის, საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების წინაშე: საბოლოოდ გავანადგუროთ მოსისხლე მტერი, არ დავნებდეთ ნებისმიერ დასავლეთისაკენ, გავათავისუფლოთ მთელი საბჭოთა მიწა-წყალი საზიზღარი გერმანელი დამპყრობლებისაგან!

„პრავდა“, 28 თებერვალი.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

28 თებერვლის საღამოს ცნობა

28 თებერვლის განმავლობაში ჩვენი ჯარები ეწეოდნენ შეტევითს ბრძოლებს წინანდელი მიმართულებებით.

გასული კვირის მანძილზე, 21-დან 28 თებერვალამდე, საჰაერო ბრძოლებში და მოწინააღმდეგის აეროდრომებზე მოსპობილია გერმანელთა 168 თვითმფრინავი. ამავე ხნის განმავლობაში ჩვენ 87 თვითმფრინავი დაკარგეთ.

• • •

27 თებერვალს ჩვენი ავიაციის ნაწილებმა ფრონტის სხვადასხვა უბანზე მოსპეს ან დაზიანეს გერმანელთა 100-მდე ავტომანქანა ჯარებიანად და ტვირთიანად და ჩასძირეს მოწინააღმდეგის ტრანსპორტი 14.000 ტონა წყალწყვისა.

• • •

დონის როსტოვის დასავლეთით ჩვენი ჯარები დაკავებულ პოზიციებს ამაგრებდნენ და ცალკეულ უბნებზე ცეცხლითი ბრძოლა ჰქონდათ მოწინააღმდეგესთან. 6 შენაერთმა დღის განმავლობაში 150-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი გაელიტა. გვარდიის ლეიტენანტ გლუხოვის ტანკის ეკიპაჟი, რომელშიც შედიოდნენ მძღოლი-მექანიკოსი უფროსი სერჟანტი ბორისოვი, მეკოშკური მსროლელი სერჟანტი ნოსკოვი და მეტყვეიამფრქვევე სერჟანტი პისარევი, მოწინააღმდეგის განლაგებაში შეიჭრა, რამდენიმე ათეული ჰიტლერელი მოსპო და ხელთ იგდო 8 ქვემეხი. მეტყვეიამფრქვევე ამბ. დოგადინმა რამდენიმე ჯერით ჩამოაგდო გერმანელთა თვითმფრინავი.

• • •

ვოროშილოვგრადის სამხრეთ-დასავლეთით 6 შენაერთის ნაწილებმა ორი დღის ბრძოლებში მოსპეს 200-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. დააზიანეს 3 ტანკი და ხელთ იგდეს მოწინააღმდეგის 2 თვითმავალი ქვემეხი. სხვა უბანზე ჩვენმა მებრძოლებმა გერმანელთა ერთი ბატალიონი ქვეითი ჯარის კონტრიერიში მოიგერიეს. ჰიტლერელებმა დიდი ზარალი ნახეს და თავდაპირველ პოზიციებზე დაიხიეს.

• • •

კრამატორსკაიას რაიონში ჩვენი ჯარები მოწინააღმდეგის ტანკებისა და მოტოქვეითი ჯარის სასტიკ კონტრიერიშებს იგერიებდნენ. გერმანელებს სასწრაფოდ გადმოჰყავთ ახალი ნაწილები და გზიდანვე ჰგზავნიან ბრძოლაში. ერთ უბანზე ჩვენმა მებრძოლებმა ჰიტლერელთა ხუთი კონტრიერიში მოიგერიეს და გერმანელთა 8 ტანკი დააზიანეს და დასწვეს. სხვა უბანზე დღის განმავლობაში შეუპოვარი ბრძოლა იყო ერთი დასახლებული პუნქტისათვის, რომელიც რამდენჯერმე გადავიდა ხელიდან ხელში. დღის დამლევისათვის საბჭოთა ქვეითნაყოფები მტკიცედ გამაგრდნენ ამ დასახლებულ პუნქტში. ბრძოლის ველზე დარჩა მტრის 500-ზე მეტი გვამი, გერმანელთა 13 დამტვრეული ტანკი და ბევრი ავტომანქანა.

• • •

ხარკოვის დასავლეთით ჩვენი ჯარები შეტევას განაგრძობდნენ. 6 შენაერთის ნაწილებმა გადამწყვეტი იერიშის შედეგად ორი დიდი დასახლებული პუნქტი დაიკავეს. მათ [illegible] ჩვენი ტანკების ჯგუფმა გადასერა გზატეხილი და დასახელებულ [illegible] ... [illegible] ... [illegible] ...